

ურბონიზაცია და მისი ეკოლოგია

არსებობს გამოთქმა: ქუჩები, შესახვევები, მოედნები — ეს არის ქალაქის სასიცოცხლო ნერვები. ამ გამოთქმაში ხატოვნადაა მინიშნებული ქალაქის ცხოვრების არსი და სახე. ორიენტირების საჭიროებამ მოითხოვა ქუჩა-მოედნების სახელდება და ეს საჭიროება რეალობად იქცა — ობიექტებმა მიიღეს საკუთარი სახელები. მაშასადამე, შეიქმნა **ურბონიზმი** — ქალაქისათვის სპეციფიკური ობიექტების — ქუჩების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, პროსპექტების და ა. შ. საკუთარი სახელები (მათს ერთობლიობას **ურბონიზაცია** ეწოდება, ხოლო ურბონიზმთა შემსწავლელ დარგს — **ურბონიზიკა**, რომელიც ონომასტიკის ერთ-ერთ ქვედარგს წარმოადგენს).

ურბონიზმთა რაოდენობა, შეიძლება ითქვას, ქალაქის სიდიდის პირდაპირპროპორციულია, მაშინ როცა ამგვარ სწორხაზოვან შესაბამისობას ვერ ვადასტურებთ დაბა-სოფლების ტერიტორიულ სიდიდესა და მიკროტოპონიზმთა რაოდენობას შორის.

სხვაობა სხვადასხვა — სიღრმისეულ შრეებში მოსაძიებელი: საკითხი ეხება სახელდების პროცესს და სახელმძღვანო კოლექტივს.

ჩვეულებრივი მიკროტოპონიზმი იქმნება თანდათანობით, სტიქიურად და ანონიმურად, მსგავსად ფოლკლორული ნიმუშებისა: შემოქმედიც და მომხმარებელიც თვით ხალხია. უმეტესწილად საქმე გვაქვს საზოგადო სახელის საკუთრად ქცევის ბუნებრივ და ხანგრძლივ პროცესთან: თავდაპირველად არსებული რამდენიმე აღწერითი, გაშლილი ვარიანტიდან (მათ ზოგი ტოპონიმ-ეფემერებს უწოდებს) უპირატესობა ენიჭება ერთ-ერთს, რომელსაც ხშირი ხმარება თანდათან ცვეთს და ამოკლებს. ეს კი აჩქარებს მათს ჩამოყალიბებას საკუთარ სახელად. სოციალური სანქციის მიღებაც შესაბამისად უჩინრად ხდება.

რაც შეეხება ქუჩა-შესახვევთა სახელებს, მათი შექმნა, ჩვეულებრივ, მომენტალური, მეყსეული პროცესია, სახელმძღვანო კოლექტივიც, როგორც წესი, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებით განისაზღვრება. იქმნება ერთადერთი, ამასთან, არცთუ ყოველთვის კომპაქ-

ტური ფორმა, რომელიც შექმნისთანავე ოფიციალური ნორმის ძალას იძენს. სოციალურ სანქციას სახელი ხელოვნურად იღებს, ხალხი უკვე აღარ არის შემოქმედი, იგი მხოლოდ მომხმარებელია მზა პროდუქტისა.

განსხვავება ურბონიმიასა და საკუთარ ტოპონიმიას შორის ერთეულთა აგებულებაშიც იჩენს თავს: თუ ჩვეულებრივი მიკროტოპონიმები შეიძლება იყოს მარტივიც (ვაკე, საბურთალო, ვერე) და რთულიც (მთაწმინდა, დიდუბე), ურბონიმები მუდამ რთულია, ამასთან, სპეციფიკურად რთული: ბოლო კომპონენტი მუდამ საზოგადო სახელია — ურბანული ტერმინი (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი, მოედანი და ა. შ.), რის გამოც საკუთარი სახელები ასეთებად მხოლოდ სანახევროდ აღიქმება. ამის დამადასტურებელია მათი თარგმნის შესაძლებლობა და პრაქტიკა (შდრ. ლენინის მოედანი და **площадь Ленина, რუსთაველის გამზირი და проспект Руставели**). მეტიც, თუკი პირველ კომპონენტადაც აპელატივი ანუ საზოგადო სახელია გამოყენებული, ითარგმნება მთელი შეხამება (მაგ., **ამაღლების ქუჩა — Вознесенская улица, ნიაღვრის ქუჩა — Поточная улица**. ორივე ქ. თბილისშია). ნიშანდობლივია ამ მხრივ თბილისის ქუჩების ერთ-ერთი ცნობარის წინასიტყვაობის შემდეგი სიტყვები: „... ძველი ქუჩების სახელწოდება ზოგან არ არის თარგმნილი: პრაქტიკული მიზნებისათვის ხანდისხან მისაღებად დავინახეთ ძველ სახელწოდებათა დატოვება გადაუთარგმნელად...“¹ ამგვარ განმარტებაში თავისთავად ნაგულისხმევია, რომ ქუჩათა სახელებისათვის თარგმნის პრაქტიკა ჩვეულებრივი მოვლენაა (შდრ. მათ, მაგალითად, თბილისის მიკროტოპონიმები — **დიდუბე, ხარფუხი, ორთაჭალა, დილომი და სხვ.**). კალკის ერთადერთი მაგალითი გვაქვს **ნაძალადევ — Нахаловка**-ს შემთხვევაში, როცა თბილქტს სახელი შეერქვა მუშათა დასახლების ხერხის ნიუანსობრივად განსხვავებული შეფასების მიხედვით.

ყველა ეს ნიშანი მკვეთრად მიჩნავს ამ ორ ჯგუფს, ე. ი. საკუთრივ მიკროტოპონიმიას ურბონიმიისგან. ამიტომ ქალაქის სპეციფიკური თბილქტებისათვის მიზანშეწონილია სამუშაო ტერმინად **ურბონიმიის** ხმარება, განსხვავებით ჩვეულებრივი მიკროტოპონიმებისგან, რომელთა მნიშვნელობა შეუდარებლად ფართოა.

რა სახეები თუ სისტემები გამოიყოფა ურბონიმებში? რა კანონზომიერებით იქმნება, იცვლება ან იკარგება ეს სახელები, ანდა როგორია თანამედროვე ტენდენციები სახელდება-გადარქმევისა საერთოდ, და, კერძოდ, თბილისის მაგალითზე?

გამოიყოფა ურბონიმთა რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი: მდება-

¹ თბილისის ქუჩები, ტფ., 1926.

ზეობა-განლაგების მიხედვით (მაგ., **ვანაპირა ქუჩა, პარალელური ქუჩა**), ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების მიხედვით (**სოხუმას ქუჩა, მტკვრის ქუჩა**), ისტორიული მოვლენებისა და სოციალ-პოლიტიკური ძვრების უკვდავსაყოფად (**საბჭოს, კომკავშირის, 9 იანვრის, კომინტერნის ქუჩები**), სამამულო ომის გმირების, ცნობილი მხედართმთავრების, რევოლუციონერების, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა, საზოგადო მოღვაწეთა უკვდავსაყოფად; საქმიანობის მიხედვით (**ფეიქართა ქუჩა**), დაწესებულებათა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მიხედვით (**სადგურის ქუჩა, აბანოს ქუჩა**).

მაგრამ ეს დეტალებია. ჩვენი აზრით, უნდა გამოიყოს ორი დიდი ჯგუფი: მიძღვნილი და აღწერით-მაორიენტირებელი. პირველი ჯგუფის სახელთა „ეტიმოლოგიზაცია“ გასაგები მიზეზის გამო ზედმეტი ზღბა. გასარკვევია მხოლოდ მიმართებებ. ამ ჯგუფში გაერთიანდება როგორც გამოჩენილი პირებისადმი, ისე იდეოლოგიური ცნებებისადმი მიძღვნილი სახელები, აგრეთვე, ტოპონიმების მიხედვით შერქმეული ზოგიერთი სახელწოდება. ამდენად, პრინციპულად ერთი რიგისაა, მაგ., **პროლეტართა, პრესის, გორკის, გოგოლის, პალიასტომის, ბათუმის ქუჩები**. ეს ჯგუფი შეტად პროლუქტიულია და შეადგენს ურბონიმთა 75 %-ზე მეტს.

მეორე ჯგუფი რამდენადმე წააგავს ორდინარულ მიკროტოპონიმებს, ოღონდ პირველ ჯგუფთან ის აერთიანებს, რომ მეორე კომპონენტად იყენებს რომელიმე ურბონიმულ ტერმინს (ქუჩა, ჩიხი და მისთ.); სამაგიეროდ, სიტყვაწარმოებით მეტად ღარიბია — ძირითადად ნათესაობითი ბრუნვის (ორივე რიცხვის) ფორმით შემოიფარგლება (მაშინ, როცა ქალაქის მიკროტოპონიმიაში აფიქსები უხვადაა წარმოდგენილი: მაგ., **დელ-ის-ი, ვეძ-ის-ი, სა-ბურთ-ალ-ო, ნა-ძალად-ევ-ი...**).

ამ ჯგუფის სახელები ასრულებენ ურბონიმთა ძირითად — მაორიენტირებელ ფუნქციას: სახელი შერქმეულია ან ამა თუ იმ ქუჩაზე მდებარე ობიექტის მიხედვით (**სადგურის, აბანოს, სამრეცხაოს, მონასტრის, ყაზარმის ქუჩები**), ან ამა თუ იმ ობიექტზე მომუშავე ან დასახლებულ ადამიანთა პროფესიული თუ ნაციონალური ჯგუფის მიხედვით (**ფეიქართა ქუჩა, მეთონეთა, მუშათა, კურსანტების, გერმანელთა ქუჩები**). მაგრამ ზოგჯერ სახელდება გაბუნდოვანებულია, მოტივაციის სიცხადე კი — მოჩვენებითი. მაგალითად, თბილისში რომ გაჩენილიყო ***სპეციალისტთა ქუჩა სპეციალისტების სახლის** მიხედვით (რაც ადვილი შესაძლებელია მომხდარიყო), ამგვარი სახელების ინტერპრეტაცია გადაიხრებოდა სამუშაო, და არა საცხოვრებელი ობი-

ექტის ნომინაციის სასარგებლოდ, რადგან სათანადო სისტემა სამუშაო ობიექტების მიხედვითაა აგებული.

ამავე — მეორე ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ ის სახელები, რომელთაც ურბონიმულ ტერმინთან შეხამებისას დაკარგეს საკუთარი საზღვრულები — მალაზიის, დუქნის, საწარმოს, სახელოსნოს, საამქროს და ა. შ. აღმნიშვნელი სახელები. ამგვარ ერთეულებში ურბონიმული ტერმინები ელიპტირებული საზღვრულის საკომპენსაციოდ იხმარება. მაგ., ფქვილის შესახვევი, რკინის რიგი, ბამბის რიგი, ქვების შესახვევი, ქოთნის შესახვევი, ქოშის რიგი, შეშის შესახვევი, წამლის შესახვევი, ღვინის რიგი, ღვინის აღმართი და მისთ.

სტრუქტურულად ამ ტიპის სახელები მიძღვნიტს ურბონიმებს ემსგავსება, რაც სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ საერთოდ ურბონიმები, როგორც გარკვეული ჯგუფის სახელები, მისწრაფვის ფორმის გაერთმნიშვნელიანებისკენ. რეალიზდება მოთხოვნა — საერთო ფუნქციის მქონე ერთეულებს ფორმაც უნიფიცირებული, ამასთან, მაქსიმალურად კომპაქტური ჰქონდეთ. კონტექსტში ხმარებას მათი ფორმა მინიმუმამდე დაჰყავს: მაგ., „რუსთაველზე გავიარე“, „პლენხანოვზე ვიყიდე“. ამ გამოთქმებში გამოტოვებულია სიტყვა **პროსპექტი**, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იქ, სადაც ორაზროვნობა გამორიცხულია. მაგ., „პურზე წასვლა“ ვერ შეცვლის „პურას მოედანზე წასვლას“. აქ ურბონიმული ტერმინის დართვა აუცილებელია. რადგან პირველი კომპონენტი საზოგადო სახელით (**პური**) არის გამოხატული.

მაგრამ მიმართება აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის სტატიკური არ არის. იგი, შესაძლოა, ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ იცვლება. რეალური ორიენტირი შეიძლება გაქრეს, მისი სახელი კი დიდხანს შემორჩეს ობიექტს (კონსერვატულობა საერთოდ დამახასიათებელია საკუთარი სახელისათვის). ამგვარი შეუსაბამობა ხელს უწყობს აპელატივის საკუთარ სახელად ჩამოყალიბებას. ამავე პროცესს აჩქარებს ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად სახელის სემანტიკური გაბუნდოვანება. ამის კლასიკური ნიმუში აქვს მოხმობილი მწერალ ლ. უსპენსკის, რომელიც აღწერს, თუ როგორ გადაიქცა ხუროთმოძღვარ როსის სახელობის ქუჩა „კურდღლის ქალად“ მსგავსი ელვადობის საფუძველზე და სემანტიკური ადაპტაციის გზით (შდრ. **Заячья роца და улица Зодчего Росси**)².

მაგრამ ცვლილება მოსდის არა მარტო ცალკეულ სახელებს, არამედ, რაც მთავარია, სახელთა მთელ სისტემებს. მაგალითად:

ახალ ორღეანში არსებობს ქუჩათა ასეთი „ანსამბლი“: სურვილის,

2 Лев Успенский, Загадки топонимки, М., 1969, გვ. 27.

სიამოვნების, სიყვარულის, უტოპიის ქუჩები. მათი ქრონოლოგიური წინაპარი სურვილის ქუჩა (Desire Street; ინგლ.) ყოფილა, რომელიც სინამდვილეში ფრანგული საკუთარი (ადამიანის) სახელი აღმოჩნდა. ადრე ეს ქუჩა ცნობილი პირის — დეზირეს სახელს ატარებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ სახელის გრაფიკულმა სახემ ხელი შეუწყო მის სემანტიკურ გადაზრებას: საკუთარი სახელი იქცა აბსტრაქტულ სახელად და მიიზიდა ანალოგიური სემანტიკის მქონე სიტყვები. ასე შეიქმნა „გრძობისმიერი“ სახელწოდებები.

სხვა მაგალითი: ამჟამად თითქმის ყველა ქალაქში გამოყოფენ ქუჩათა სახელებს ტობონიმთა ან ჰიდრონიმთა მიხედვით. ეს ცალკე ქვესისტემაა. თუ თავს გავადევნებთ ამ ტიპის ურბონიმთა განვითარებას თბილისში, შევამჩნევთ, რომ მათი თავდაპირველი ფუნქცია საგრძობლად შეიცვალა და შესაბამისად გადასხვაფერდა ურბონიმიკული მოდელოც.

თბილისში, დიდუბის უბანში თავმოყრილია რიგი ქუჩები, რომლებიც ატარებს საქართველოს ქალაქების სახელებს: ქუთაისის, სოხუმის, შუგდიდის, სამტრედიის, ზესტაფონის, გორის, ფოთის და სხვ. ქუჩები. მათი მეორე, დამატებითი განმარტებელი ნიშანი ისაა, რომ ყველა ესენი თბილისის დასავლეთით მდებარე ქალაქების სახელებია. თელავის, გურჯაანის, ახმეტის, წინანდლის, ალავერდის და სხვ. ქუჩებს ამ უბანში ვერ ვიპოვით.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯერ გზებს (ან რკინიგზის ხაზებს) ეწოდა იმ ქალაქთა სახელები, საითაც ან საიდანაც ეს გზები მოდიოდა, ხოლო შემდეგ კი ქუჩებზე გადავიდა³. ეს ვარაუდი მართლდება თბილისის მაგალითზეც: იხ. ავჭალის, კახეთის, წყნეთის გზატკეცილი. ამ უკანასკნელის მიხედვით ადრე არსებობდა ქუჩაც — წყნეთის ქუჩა (დღევანდელი მელიქიშვილის ქუჩა).

ანალოგიური პრინციპია გატარებული სხვა ქალაქების ურბონი-მულ პრაქტიკაშიც: ქ. ულიანოვსკის ქუჩების სახელები: **Московская, Казанская...**, ისევე როგორც მოსკოვის რკინიგზის სადგურთა სახელები, ამავე მიმართების გამომხატველები არიან (მდრ. **Курский вокзал, Киевский вокзал, Варшавский вокзал...**). ისინი ასახვენ სათანადო მიმართულებებს. ლენინგრადშიც სახელწოდებათა ასეთივე ანსამბლი გვაქვს: ნარვის ნაწილში ბალტიისპირეთის ოიკონიმები გვხვდება, ვიბორგის მხარეს — ფინეთისა, ვასილის კუნძულზე — კავკასიისა; მოსკოვის სამხრეთ ნაწილში ყირიმის ქალაქთა სახე-

³ В. А. Никонов, Названия улиц в Симбирске-Ульяновске, сб. Ономастика Поволжья, Ульяновск, 1969, გვ. 228.

ლებია, სამხრეთ-აღმოსავლეთით — ცენტრალური კავკასიისა და შუა აზიის თიკონიმთა სახელობის ქუჩებია, ჩრდილოეთით — პოლარული და ციმბირის ტოპონიმებისა. ამავე რიგისაა უფრო ზოგადი — მხარეთა აღმნიშვნელი ურბონიმები: **Восточная, Западная, Южная...**

მაგრამ ეს სისტემები ყველგან ერთნაირი არ არის: ზოგან საწყის, ამოსავალ წერტილად ამა თუ იმ რესპუბლიკის, მხარისა თუ ოლქის დედაქალაქია აღებული, როგორც ეს თბილისში დიდუბის უბნის ურბონიმთა შემთხვევაში გვაქვს: ასათვლელი წერტილი თბილისია. სხვაგან შეიძლება უფრო ფართო ორიენტაცია იყოს აღებული. ამ დროს ხდება ერთგვარი იმიტაცია მთელი საბჭოთა კავშირის ან მისი რომელიმე ზონის, ანდა სათანადო რესპუბლიკის რუკებისა, რომლებიც თითქოს შემცირებული მასშტაბით პროეცირდება ქალაქის გეგმაზე. მაგ., ქ. გორკის მარჯვენა სანაპიროს (მდ. ვოლგის) მთიან ნაწილში ქუჩები მთელი გორკის ოლქის მარჯვენა ვოლგისპირეთის ქალაქების სახელებს ატარებს და პირიქით.

ზოგჯერ ეს პრინციპი ირღვევა. ისევ მოსკოვის მაგალითს მოვიშველიებთ: **ნოვგოროდის ქუჩა** ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილშია, **ვოლხოვისა** — აღმოსავლეთში, თუმცა სინამდვილეში ქ. ვოლხოვი მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთითაა, კიდევ უფრო ჩრდილოეთით, ვიდრე ნოვგოროდია. მიზეზი, შესაძლოა, ასათვლელ პუნქტთა აღრევით იყოს გამოწვეული: ერთ შემთხვევაში ასეთ პუნქტად მოსკოვია აღებული, მეორეში — ლენინგრადი, ან ისევ ნოვგოროდი.

სახელთა ანსამბლები შეიძლება სხვაგვარადაც იყოს განლაგებული: მაგ., ძველ ცარიცინში ქალაქგარეთ გამავალი ქუჩები მდინარეთა სახელებს ატარებდნენ, ცენტრალურ უბნებში კი — საგუბერნიო ქალაქებისას. ლენინგრადის ახალ დასახლებებში ამგვარი ერთეულები დამატებით იდეოლოგიურ ნიშანსაც იძენენ — სოციალისტური ქვეყნების ქალაქთა (ბუდაპეშტის, სოფიის, ბუქარესტის...) სახელებს ატარებენ.

მაგრამ თუ სახელები ორი ან მეტი ნიშნით ერთიანდება, სხვადასხვა დროს შეიძლება სხვადასხვა ნიშანმა წამოიწიოს წინა პლანზე და სისტემებიც ამის კვალობაზე წარმოიშვას. ასე გადააზრიანდა, კერძოდ, თბილისში დასახლებულ პუნქტთა სახელების მიხედვით შექმნილი ურბონიმები, რომლებიც ამ პუნქტებში მიმავალი გზების მიმართულებებს შეესაბამებოდა: თავდაპირველი ფუნქცია მივიწყებულ იქნა; დარჩა მხოლოდ მოდელი. შედეგი თვალსაჩინოა: სწრაფად მრავლდება არა მარტო ქალაქების (ამასთან, დიდი ქალაქების), არამედ დაბასოფლების სახელთა მატარებელი ურბონიმები. შესაბამისი გადაწყვეტა მოხდა ურბონიმთა ტიპებში: მაორიენტირებელ-აღწერითს

ჯგუფს გამოეყო რიგი სახელები და მიძღვნითს შეუერთდა. გაუადვილდა ამოცანა ქუჩების სახელთა მომგონსაც: სიცარიელის შემავსებელ სახელებს მას საქართველოს რუკა გაახსენებს. სამაგიეროდ, ურთულდება საქმე მომხმარებელ კოლექტივს: ეკარგება საორიენტაციო ნიშანი. თუ ადრე **გაგრის** ან **აბასთუმნის ქუჩას** დიდუბის ან მის მომიჯნავე უბანში მოვიკითხავდით, ხოლო **შირაქის** ან **ბაქოს ქუჩას** — ქალაქის საპირისპირო მხარეს, დღეს ეს პრინციპი დარღვეულია (ნაწილობრივ მაინც) და იმავე სიძნელის წინაშე დავდგებით, რაც, ვთქვათ, შჩორსის, მოსაშვილის თუ ყიფშიძის ქუჩების ძიებისას.

სიძნელე ახლავს იმ შემთხვევებს, როცა ოიკონიმი ამა თუ იმ გამოჩენილი პირის სახელს ატარებს. მაგ., ქალაქები — **ცხაკაია**, **წულუკიძე**, **გეგეჭკორი**, **მახარაძე**, **ორჯონიკიძე**, **მაიაკოვსკი**... თუ ქუჩებო სოფლების სახელებსაც კი სესხულობს, მით უმეტეს, მოულოდნელი იქნებოდა გვერდის ავლა ამ ქალაქთა სახელებისათვის. მაგრამ სირთულეს ის ქმნის, რომ ამ შემთხვევაში გაურკვეველი იქნებოდა, მიძღვნის ადრესატი რევოლუციონერია თუ მისი სახელის მიხედვით ნომინირებული ქალაქი.

თუ ძველი სისტემების ფარგლებში დავრჩებოდით, ამოცანა გამარტივდებოდა; კერძოდ, თუ ასეთი ქუჩები რომელიმე სოლოლაკის უბანში აღმოჩნდებოდა, სათანადო ქუჩები რევოლუციონერთა ხსოვნისადმი მიძღვნილად უნდა მიგვეჩნია, მაშინ როცა მათი დადასტურება დიდუბის უბანში სხვა მოტივაციის სიგნალი შეიქნებოდა. მაგრამ სისტემების აღრევის პირობებში ამგვარი ასოციაციური სიგნალი საზომად ვერ გამოგვადგება.

წარმოქმნილი უხერხულობის ლიკვიდაცია თითქოს შეეძლო დუბლეტური, ე. ი. გამეორებული ურბონიმების შემოღებას, მაგრამ კონკრეტული მიმართება აღსანიშნ ობიექტთან კვლავ გაურკვეველი დარჩებოდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თბილისის შემთხვევაში სირთულე ოპტიმალურად მარჯვედ იქნა დაძლეული: შეიქმნა ურბონიმები თანამედროვე მახარაძის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, წულუკიძის... ადრინდელი სახელწოდებების მიხედვით: **ოზურგეთის**, **მარტვილის**, **სენაკის**, **ზონის ქუჩები**. ამით მოიხსნა ორაზროვნობა მიძღვნის ადრესატის საკითხში.

აქვე ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ჰკუის სასწავლებელი კურორტები ქ. გორკის ურბონიმიიდან: ქალაქში ორი ობიექტი აღინიშნება „საიუბილეოს“ სახელწოდებით — **Юбилейная улица** და **Юбилейный бульвар**. პირველი მიეძღვნა ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავს, მეორე — 50 წლისთავს. **Михайловская улица**-ს ზოგი უკავშირებდა სახელს, ზოგიც — გვარს. აღმოჩნდა, რომ მიძღვნის ად-

რესატია პუშკინის ყრმობასთან დაკავშირებული სოფელი მიხაილოვსკოე. ანალოგიური მიზეზით ივან გროზნის (ივანე მრისხანე) სახელობის ქუჩამ სამჯერ შეიცვალა ფორმა: **Грозненская, Грозная, Грозного**. იგი მომხმარებელს თავისუფლად შეეძლო აღექვა ქ. გროზნოს მიხედვით შერქმეულ ურბონიმადაც.

მნიშვნელოვან სიძნელეებს უქმნის ურბონიმა ინტერპრეტაციის ამა თუ იმ ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის მრავალეროვნობა და აქედან გამომდინარე მრავალენოვნობა.

ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე თბილისის ბევრი ქუჩა ატარებდა რუსეთის იმპერატორთა ოჯახის წევრთა სახელებს, აგრეთვე, მეფის რუსეთის გენერლებისა თუ მოხელეთა გვარებს. მაგალითად, ახლანდელი **ლენინის ქუჩა** იწოდებოდა **ოლღას ქუჩად**; იყო **სოფიოს, ქსენიას, ელისაბედის, ეკატერინეს, ვორონცოვის, ერმოლოვის** და სხვ. ქუჩები. რუსულმა აფიქსაციამ მოგვცა ასეთი ფორმები: **Софинская, Ксеньевская, Александровская** და ა. შ. დღესაც ბევრი თბილისელი (და არა მარტო თბილისელი) პლენხანოვის გამზირზე მდებარე საავადმყოფოს **მიხაილოვის** ან **მიხაილოვსკის საავადმყოფოს** უწოდებს — ნაცვლად **მიხეილის საავადმყოფოსი**, რუსთაველის გამზირსა და ათონელის ქუჩებს შორის მდებარე ბაღს კი — **ალექსანდროვის ბაღს** — ნაცვლად **ალექსანდრეს ბაღისა**.

არის საპირისპირო შემთხვევაც: რუსული გვარის მაწარმოებელი ქართულში აღქმულია ქუჩის სახელწოდების მაწარმოებლად. ამიტომ, რომ **პეროვსკაიას ქუჩას** ქართულში ხშირად შეცდომით **პეროვის** სახელობის ქუჩად მიიჩნევენ.

ცნობილია, რომ **ლენინის მოედანი**, უფრო ადრე—მანამდე, სანამ დროებით თავისუფლების მოედნად იწოდებოდა, ატარებდა პასკევიჩის სახელს (სოლოლაკშივე **პასკევიჩის ქუჩა** იწოდებოდა ახლანდელ **მახარაძის ქუჩას**), რომელიც შერწყმული იყო მეფის გენერლას ზედწოდებასთან—ერევნელთან (ქ. ერევნის ალების გამო). ამ მოედნის სახელის რუსული გამოთქმისაგან — **Площадь Паскевича-Эриванского** (რომელიც დროთა განმავლობაში გაცვდა, რის შემდეგაც კომპონენტებმა ადგილები გაცვალეს), მივიღეთ **Ереванская площадь**. ვინაიდან ურბონიმათა თარგმნის პრაქტიკა მაშინაც გავრცელებული იყო, ეს ურბონიმი თავის მაწარმოებლიანად „ითარგმნა“ ქართულად და მივიღეთ **ერევნის მოედანი**, მით უმეტეს, რომ ამას სხვა ფაქტორებიც უწყობდა ხელს: გვექონდა, ერთი მხრივ, ამიერკავკასიის სხვა დიდი ქალაქის — ბაქოს სახელობის ქუჩა, მეორე მხრივ, კარგად განვითარებული სისტემა ქალაქების სახელთა მიხედვით ქუჩების სახელდებასა. 1926 წ. გამოცემულ ცნობარში ამავე წესითაა „გადმოქართულებული“ **Успенская улица** უსპენის ქუჩად, თუმცა თანმიმდევრულობა ამ მხრივ ყოველთვის არ არის

დაცული: მთლიანად თარგმნილია **Вознесенская улица** (ამაღლების ქუჩა), სხვა შემთხვევაში კი მეორე უკიდურესობაა დაშვებული: უცვლელადაა დატოვებული რუსული წარმოება: **ტროიცის ქუჩა** (<Троица — სამება). ასევე მოხდა ე. წ. „მეფევაია ქუჩის“ შემთხვევაშიც (ასეთი სახელწოდებით სამი ერთეული გვქონდა თბილისში: **Межевая улица, Межевой тупик, Межевой переулок**), მაგრამ ანალოგიური სემანტიკის მქონე სახელს **Параллельная улица** ქართული წარმოება დაეძებნა: **პარალელური ქუჩა**.

სახელდებისას ასოციაციური კავშირები (რომლებიც ინდივიდუალური კი არ არის, არამედ სოციალური), ერთი შეხედვით, სრულიად წარმოუდგენელ ქვესისტემებს ქმნის. მაგ., ახალ ორღენში სკოტის ქუჩის განშტოებას **აივენჯოს ქუჩა** დაერქვა — ინგლისელი მწერლის რომანის სათაურის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ თვით მთავარი ქუჩა ვალტერ სკოტის უკვდავყოფას კი არ ემსახურებოდა, არამედ გენერალ უინფილდ სკოტისას. აქვე ერთ ქუჩას, რომელიც ტირიფის სახელს ატარებდა, სათანადო რეალია თურმე არც წარსულში მოეპოვებოდა, მაგრამ მუნიციპალიტეტის სპეციალურმა მითითებამ, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეული რაიონის ქუჩებისათვის მცენარეთა სახელების დარქმევას, შესაძლებელი გახადა ამგვარი მიმართების გაუქმება. აქვე და ასევე გაჩნდა სახელები ანტიკური მითოლოგიის პერსონაჟთა, ფრინველთა სახელების, პატიოსანი თვლების სახელწოდებათა და მისთ. მიხედვით. ყოველი სემანტიკური ჯგუფი სათანადო რაიონებში იყო განაწილებული, რაც ორიენტირებას აადვილებდა.

მაშასადამე, ახალი სახელები იზოლირებულად კი არ იქმნება, არამედ სისტემებრივ.

მსგავსი „ანსამბლები“ თბილისშიც დასტურდება: სოლოლაკის უბანში თავმოყრილია პროლეტარიატის ბელადებისა და გამოჩენილ რევოლუციონერთა გვარების მატარებელი ქუჩები: **ენგელსის ქუჩა, ლენინის მოედანი, კიროვის, მახარაძის, ჯაფარიძის, ძერუინსკის, ცხაკაიას ქუჩები**. ერთმანეთის სიახლოვესაა რუსი პოეტების — **პუშკინისა და ლერმონტოვის ქუჩები**, რამდენადმე მოშორებით — **გრიბოედოვის ქუჩა**; ჩუღურეთის უბანში ერთმანეთთან ახლოსაა განლაგებული რუსი პროზაიკოსების — **ტოლსტოის, გორკის, გოგოლის** სახელობის ქუჩები.

თავისებური პროსპექტების სისტემა შექმნა ოთხი დიდი ქართველი მწერლის სახელობის გამზირებმა — **რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას** სახელობისა; შუა საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა და პოეტების სახელობის ქუჩებმა (იგულისხმეთ **გიორგი ათონელის, ჩახრუხაძისა და შავთელის ქუჩების** მეზობლობა),

უკრაინელი პოეტების — ლესია უკრაინკას და ტარას შევჩენკოს ქუჩების მეზობლობამ, ქართველი კომპოზიტორების — ფალიაშვილისა და არაყიშვილის ქუჩების მეზობლობამ. ახლო წარსულში ერთმანეთს ემეზობლებოდა მოსკოვისა და კურსკის ქუჩები (ე. წ. ზემელის უბანში). ახლოვე წარსულში მთაწმინდისა და სოლოლაკის უბნების ურბონიშიაში უფრო ძლიერად მოქმედებდა პირთა სახელების ანსამბლი: არსენას, საბა-სულხანის, ვახუშტის, ტარიელის, ავთანდილას, ბესიკის, ქეთევანის, რუსულანის ქუჩები (ზოგი მათგანი დღესაც შემორჩენილია), თუმცა საქმიანობის ხასიათის მიხედვით და ქრონოლოგიურადაც მათ შორის დიდი განსხვავებაა: ზოგი მწერალია ან მეცნიერი, ზოგი ეროვნულ გმირადაა შერაცხული, ზოგი კი უკვდავყოფილია პატრიოტული წარმოშობის წყალობით. შემთხვევითი არ უნდა იყოს მსგავსად მკლერი სახელების მატარებელი ობიექტების სიახლოვე: მხედველობაში გვაქვს პარალელური ქუჩები ჯორჯაძისა და ჯორჯიაშვილის სახელობისა.

ასოციაციური კავშირი მორფოლოგიის დონეზედაც მოქმედებს. ამის კლასიკური ნიმუშია იმავე ლ. უსპენსკის მიერ მოყვანილი მაგალითი ლენინგრადის ურბონიშიდან: ერთ-ერთ გარეუბანში ქუჩები სახელდებული იყო გამოჩენილ მწერალთა და კომპოზიტორთა გვარების მიხედვით. აქ იყო ტოლსტოის, ტურგენევის, დოსტოევსკის, ოსტროვსკის, მუსორგსკის, დარგომიჟსკის და სხვ. ქუჩები, აქვე — გონჩაროვის ქუჩაც. როცა ძველი სამისამართო ფირფიტა გახუნდა და იგი ახლით შეცვალეს, დოსტოევსკისა და ოსტროვსკის ქუჩებს შორის გაჩნდა არარსებული პირის — გონჩაროვსკის სახელობის ქუჩაც: აფიქსაცია გადამდები აღმოჩნდა. სემანტიკური და მორფოლოგიური ასოციაციების ნიმუშებად თბილისის ურბონიშთაგან შეიძლება დაგვესახელებინა მაჩაბლისა და წერეთლის (ახლანდელი გ. ტაბიძის ქუჩა) პარალელური ქუჩები.

სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია ე. წ. „სახელთა ბუჩქების“ თემატური განაწილება. მაგალითად, მოსკოვის ძველი უნივერსიტეტის რაიონის ურბონიშიაში ვხვდებით რუს საზოგადო მოღვაწეთა, ძირითადად, ჰუმანიტარულ დარგებში მომუშავე პირთა სახელობის ქუჩებს — გრანოვსკის, ოგარიოვის, ბელინსკის, გერცენის ქუჩებს; ახალ კორპუსთან თავმოყრილია უპირატესად ზუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლების — ვერნადსკის, ლებელდვის, ლობაჩევსკის, ლომონოსოვის, მენდელეევის სახელობის პროსპექტები ან ქუჩები, მეცნიერებათა აკადემიის რაიონში — ვავილოვის, ლიაპუნოვის, გუბკინის ქუჩები, კრასნაია პრესნიაზე ვხვდებით 1905 და 1917 წლების ამბების მონაწილეთა გვარების მიხედვით სახელდებულ ქუჩებს, ბოროდინო-

საქენ მიმავალ გზაზე — ამ ბრძოლის გმირთა სახელობის ქუჩებს — **ერმოლოვის, კუტუზოვის, ბარკლაის, რაევსკის, დენის დავიდოვის...** სახელობისას; დედაქალაქის ცენტრში დიდი რუსი მწერლების ხსოვნის აღმნიშვნელი ქუჩებია: **გორკის, ჩეხოვის, პუშკინის, მაიაკოვსკის, ტოლსტოის** სახელობისა; თეატრების რიგთან — მსახიობ-რეჟისორების სახელობისა: **კაჩალოვის, სტანისლავსკის, ნეუდანოვას, მოსკოვის ქუჩები, მეტრო „სოკოლოვან“** — მხატვრების სახელობისა: **შიშკინის, კრამსკოის, რეპინის, ვერეშჩაგინის** ქუჩები.

ამგვარ სახელებს „ირიბ ორიენტირებს“ უწოდებენ. რიგ შემთხვევაში ორაზროვნობის საფრთხე მაინც არსებობს. ასეთია, მაგალითად, მწერალ **მაქსიმ გორკის** და **ქალაქ გორკის** სახელობის ქუჩების საკითხი. სადიფერენციაციო საშუალება მორფოლოგიაში მოიხაზა: უფრო პროდუქტიული -სკაია დაბოლოება შეიცვალა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. **უღრ. Улица Горького** და **Горьковская улица**, მსგავსად ამ მოდელისა: **Киевская улица**. ზოგჯერ საქმე კურორტამდეც კი მიდის: ერთსა და იმავე ქუჩას სხვადასხვა მონაკვეთში აწერია სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი სახელი, მაგ., ვოლგოგრადში **Улица Владимира** და **Владимирская улица**⁴, **Первомайская улица** და **улица Первого Мая**⁵ (ქ. ულიანოვსკში)...

ქუჩების სახელთა გადარქმევა ქართულ სინამდვილეში სხვადასხვა ცვლილებით გამოიხატება, რაც ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია თარგმნით ან „გაქართულებით“. **უღრ. რაბკორის ქუჩა — მუშკორის ქუჩა, იუველირის გასასვლელი — ოქრომჭედლების გასასვლელი, ტიპოგრაფიის ჩიხი — სტამბის ჩიხი, ელბრუსის ქუჩა — იალბუზის ქუჩა, Колониальная улица — ახალშენის ქუჩა** და ა. შ.

ქუჩების გადარქმევას საფუძვლად ზოგჯერ ამოსავალი ტოპონიმების გადარქმევა უდევს: მაგ., ქუთაისში **სტალინირის ქუჩა** შეიცვალა **ცხინვალის ქუჩით**, **სტალინგრადის ქუჩა — ვოლგოგრადის ქუჩით**, თუმცა ყველა შემთხვევაში ეს პრინციპი არ მოქმედებს, მეტადრე მაშინ, თუ მას სხვა პრინციპი უპირისპირდება (იხ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები **ცხაკაიას, მახარაძის** და მისთ. ქუჩების თაობაზე).

ერთი სახელის მეორით შეცვლისას სახელის შემრქმევის ფანტაზია, როგორც ჩანს, ქვეცნობიერად ისევ ძველ სახელს დასტრიალებს და რაღაც ნიშნით დაახლოებულ, მსგავს ეკვივალენტს უძებნის მას. ვნახოთ ეს მაგალითებზე: **ჯავახეთის ქუჩა** შეცვალა **აქარის ქუჩამ**, **თეთნულდის ქუჩა — გროზნოს შესახვევმა** (ორივე კავკასიის ჩრდი-

⁴ В. А. Никонов, დასახ. ნაშრ., გვ. 234.

⁵ იქვე, გვ., 232.

ლოეთშია), ყაზბეგის ქუჩა — ბარისახოს ქუჩამ, მოლდავანის ქუჩა — კიშინოვის ქუჩამ, მთის შესახვევი — თხემის შესახვევმა, დავითის მოედანი — ბესიკის მოედანმა, კომუნის ქუჩა — რევოლუციის ქუჩამ, ლენინის ქუჩა — ვლ. ულიანოვის ქუჩამ და ჩიხმა. ერთმანეთს ენაცვლება ერთი პროფესიის მქონე ადამიანთა (ან მათთან დაკავშირებული ცნების, ადგილის...) სახელობის ქუჩები. მაგ.: სტალინის შესახვევი — ლენინის შესახვევი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა — გრიგოლ ხანძთელის ქუჩა, ჟუკოვსკის ქუჩა — ვაჟა-ფშაველას ქუჩა, თეატრალური ქუჩა — ვასო აბაშიძის ქუჩა, აკაკი წერეთლის ქუჩა — სხვიტორის ქუჩა. უადგილო არ იქნება აქვე მოვიხსენიოთ მეზობელი ქუჩები იაკობ ნიკოლაძისა და როდენის სახელობისა — ამ უკანასკნელზე (ე. ი. როდენის ქუჩაზე) მდებარე ქართველი მოქანდაკის სახლ-მუზეუმითურთ, როგორც განხორციელებული ხსოვნა დიდი ფრანგი მოქანდაკისა და მისი ქართველი მოწაფის შემოქმედებითი მეგობრობისა. ამგვარი მარჯვე მიგნებები მიძღვნიოს ურბონიმიანში უდავოდ წახალისების ღირსია.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია საბჭოთა კავშირის ქალაქების ქუჩათა სახელების ასეთი სტანდარტიზაცია: ცენტრალურ მოედანს ლენინის ან რევოლუციის მოედანი ეწოდება, მთავარ ქუჩას — ლენინის, მარქსის, საბჭოს ქუჩა-გამზირები; ცენტრალური ქუჩების ბირთვის ქმნიან ენგელსის, კიროვის, ძერჟინსკის, კალინინის, ორჯონიკიძის, პლესხანოვის ქუჩები, მწერალთაგან — პუშკინის, ლერმონტოვის, ჩეხოვის, ტოლსტოის, გორკის, მაიაკოვსკის სახელობის ქუჩები. ახალი პროსპექტები ატარებენ გავარინის სახელს, ოქტომბრის, კომუნისტურ, სოციალისტურ და ა. შ. სახელებს. ახალ მიკრორაიონებში ჩნდება ასეთი ქუჩები: **Счастливая, Сиреневая, Строитель.**

ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს გადარქმეული სახელები დაპირისპირების ნიშნის მიხედვით. აქაც ასოციაციის პრინციპი მოქმედებს. ოღონდ მიმართულება „ნეგაციურია“. სამართლიანი და მოხდენილია ვ. ნიკონოვის შენიშვნა: „ადამიანებს არ სურთ მუხეუმში ცხოვრება და იმისაკენ მიიღტვიან, რომ მათი გარემომცველი სახელები კვალში ამოუდგნენ თანამედროვე ეპოქას“.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ თან მოიტანა იდეოლოგიური ხასიათის ცვლილებები, რაც ონომასტიკაში თავისებურად აისახა. მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო ძველი ეპოქის გამომხატველი მატერიალური და იდეოლოგიური ნაშთების ლიკვიდაცია, მათ შორის ურბონიმიებისაც. მოგვყავს ტიპობრივი ნიმუშები სხვადასხვა ქალაქის ურბონიმიდან.

თბილისში: თავად-აზნაურობის (Дворянская) ქუჩა—გლახთა ქუჩა,

ჩერქეზოვის ქუჩა—საბჭოს ქუჩა, ქ. გორკიში: **Дворянская ул.—Октябрьская ул.**; ბალაშოვში: **Соборная пл.—Советская пл., Преображенская пл.—Красная пл., Успенская ул.—Ул. Чернышевского**⁶, შდრაგრეთვე **Ружейная улица—улица Мира** (ს. ოქეგოვის მაგალითია). გვაქვს სხვა სახის დაპირისპირებაც: **Мещанская—Гражданская, Французская набережная—Набережная Кутузова...**

სამხედრო ვნებათა დაცხრომა გვაუწყა ამ სახის ცვლილებებმა: **ტრიუნალას ქუჩა—სასამართლოს ქუჩა, უანდარმის ქუჩა—სამოქალაქო ქუჩა** (ქ. ბალაშოვში); **Кадетский плац-ს** შეენაცვლა **Краснокурсантский**. აქ ცვლილების წყაროდ მემკვიდრეობით მიღებული შენობა ივარაუდება: კადეტთა კორპუსის შენობაში სამხედრო კურსებზე სწავლა დაიწყეს წითელარმიელებმა. თბილისში ანალოგიური ცვლილება კონტრასტს უფრო აღრმავებს: **შდრ. კადეტის ქუჩა—კურსანტების ქუჩა, ოფიცერთა შესახვევი—კურსანტთა შესახვევი**. დაპირისპირება აძლიერებს ძველ სახელებში სამხედრო-ბურჟუაზიულ ნიუანსს. რუსეთში **Немецкий переулоч-ს** შეენაცვლა **Волховский переулоч** (მდ. ვოლხოვზე გერმანელებთან ბრძოლის ხსოვნის აღსანიშნავად).

ყოფილი რუსეთის იმპერიის, ამჟამად საბჭოთა კავშირის ქალაქების ურბონიშიაში რუსეთის იმპერატორთა ოჯახის წევრებისა და მეფის გენერალ-მოხელეთა სახელობის ქუჩები შეცვალა პროლეტარიატის ბელადების, გამოჩენილ რევოლუციონერთა სახელობის ქუჩებმა. თბილისში **ოლღას ქუჩა** შეიცვალა **ლენინის ქუჩით**, **სასახლის ქუჩა** (აქ მდებარეობდა მეფისნაცვლის რეზიდენცია) — **კომინტერნის ქუჩით**, **ელისაბედის ქუჩა—კლარა ცეტკინის ქუჩით**, **ვორონცოვის ქუჩა—კომუნის ქუჩით**, **ნიკოლოზის ქუჩა—კალინინის ქუჩით**, **ერმოლოვის ქუჩა—შიო ჩიტაძის ქუჩით**, **ეკატერინეს ქუჩა—სვერდლოვის ქუჩით**, **პასკევიჩის ქუჩა—მახარაძის ქუჩით**, **პასკევიჩერევნელის მოედანი—თავისუფლების მოედნით**, **პეტრე დიდის ქუჩა—ჯერ ტროცკის, შემდეგ ძერჟინსკის ქუჩით** (ეს ცვლილება პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბრძოლის თავისებური ამსახველია), **მიხეილის პროსპექტი—პლენანოვის პროსპექტით**, **რომანოვის ქუჩა—პროლეტართა ქუჩით**, **დიდი მთავრის ქუჩა—კამოს ქუჩით**, **პოლიციის ქუჩა—მილიციის ქუჩით** და ა. შ.

ათეისტური ბრძოლის მინიშნებაა ამგვარ ცვლილებებში: **კირკის (Кирочная) ქუჩა—ჟორესის ქუჩა** (შემდეგ — **მარჯანიშვილის ქუჩა**),

⁶ В. А. Архангельский, А. А. Клейменов, Эволюция названий улиц города Балашова за 50 лет, сб. Ономастика Поволжья, Ульяновск, 1969, 83. 234.

შისი ამა თუ იმ რაიონის ურბონიმიკულ სისტემას. ამ თვალსაზრისით მეტად მოსახერხებელია ანსამბლური განლაგების პრინციპი. იგი ორიენტაციასაც აადვილებს.

3. ურბონიმის მოტივაცია ცალსახა უნდა იყოს, ე. ი. მიმართება აღსანიშნისადმი ორაზროვანი არ უნდა იყოს (იხ. ზემოთ **ცხაკაიას ქუჩის** ტიპის მაგალითები).

4. ურბონიმი მოტივირებული უნდა იყოს, ე. ი. ქუჩის სახელი უნდა უკავშირდებოდეს იმ ობიექტებს, იმ პირებს თუ ზოგად ცნებებს, რომელთაც ხელშესანები კავშირი ჰქონიათ ამ ქალაქთან. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მიძღვნიტს ურბონიმის ეხება.

5. ურბონიმის ფორმა სათანადო ენის გრამატიკულ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ ენობრივი საშუალების პროდუქტიულობის გათვალისწინებით.

6. ურბონიმი სახმარად მოსახერხებელი უნდა იყოს. რეკომენდაცია უნდა მიეცეს შეძლებისდაგვარად მოკლე, კომპაქტურ ფორმებს. აქვე უნდა ითქვას, რომ პარონიმები ართულებს ორიენტირებას (მაგ., ამ ტიპის პარონიმები — **Узкий — Узенький, Песчаный — Песочный, Ружейный — Оружейный...**).

7. ურბონიმი უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე ეპოქას პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით, უნდა ასახავდეს მომხმარებელი კოლექტივის კულტურულ დონეს.

შესაძლოა, ეს მოთხოვნები არასრული ან დასახვეწი იყოს. საკითხი პრაქტიკულია — საჭირობოროტო და მოსაგვარებელი. აშკარაა, რომ იგი უნდა გადაიჭრას მხოლოდ სპეციალურად მომზადებული მუშაკების რეკომენდაციით.

შისი ამა თუ იმ რაიონის ურბონიმიკულ სისტემას. ამ თვალსაზრისით მეტად მოსახერხებელია ანსამბლური განლაგების პრინციპი. იგი ორიენტაციასაც აადვილებს.

3. ურბონიმის მოტივაცია ცალსახა უნდა იყოს, ე. ი. მიმართება აღსანიშნისადმი ორაზროვანი არ უნდა იყოს (იხ. ზემოთ **ცხაკაიას ქუჩის** ტიპის მაგალითები).

4. ურბონიმი მოტივირებული უნდა იყოს, ე. ი. ქუჩის სახელი უნდა უკავშირდებოდეს იმ ობიექტებს, იმ პირებს თუ ზოგად ცნებებს, რომელთაც ხელშესახები კავშირი ჰქონიათ ამ ქალაქთან. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მიძღვნიის ურბონიმის ეხება.

5. ურბონიმის ფორმა სათანადო ენის გრამატიკულ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ ენობრივი საშუალების პროდუქტიულობის გათვალისწინებით.

6. ურბონიმი სახმარად მოსახერხებელი უნდა იყოს. რეკომენდაცია უნდა მიეცეს შეძლებისდაგვარად მოკლე, კომპაქტურ ფორმებს. აქვე უნდა ითქვას, რომ პარონიმები ართულებს ორიენტირებას (მაგ., ამ ტიპის პარონიმები — **Узкий — Узенький, Песчаный — Песочный, Ружейный — Оружейный...**).

7. ურბონიმი უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე ეპოქას პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით, უნდა ასახავდეს მომხმარებელი კოლექტივის კულტურულ დონეს.

შესაძლოა, ეს მოთხოვნები არასრული ან დასახვეწი იყოს. საკითხი პრაქტიკულია — საჭირობოროტო და მოსაგვარებელი. აშკარაა, რომ იგი უნდა გადაიჭრას მხოლოდ სპეციალურად მომზადებული მუშაკების რეკომენდაციით.